

„სავალუტო ფარი“ „კოლანდიური დაავადებისა“ და ინფლაციური ნიჰილიზმის პირობებში



**ვლადიმერ ბაბაკიძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს
პარლამენტის წევრი**

ბოლო დროს საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება დისკუსია იმის შესახებ, უნდა ჩაანაცვლოს თუ არა ქვეყნის ცენტრალური ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი ე.წ. „სავალუტო ფარმა“ („Currency Board“). ამ მიზნით საქართველოს ეწვია კიდევ და მთავრობის მაღალ ეშელონებში შეხვედრები ჰქონდა ამ საკითხებში ცნობილ ამერიკელ ექსპერტს სტივ ჰენკს (Steve Hanke), რომელიც ცდილობდა საქართველოს მთავრობა დაერწმუნებინა „სავალუტო ფარის“ უპირატესობებში ცენტრალური ბანკის ინსტიტუტთან შედარებით. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ამ წერილში ძალზედ მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ პრინციპულ საკითხს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „სავალუტო ფარი“ და რისი მომტანია ის დღევანდელი საქართველოსთვის.

„სავალუტო ფარის“ პირითა და თავისებურებანი

„სავალუტო ფარის“ (ზოგჯერ ამ ტერმინს ინგლისურიდან თარგმნიან როგორც „სავალუტო საბჭოს“, შეიძლება ითარგმნოს როგორც „სავალუტო რეგულირებაც“, თუმცა, ტერმინი „ფარი“ ჩვენის აზრით უფრო მუსგად ასახავს მოვლენის არსს, ვიდრე სხვა ტერმინები) არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული ვალუტის რომელიმე სტაბილურ უცხოურ ვალუტაზე მიბმა ფიქსირებული გაცვლითი კურსით ხდება. ეს უცვლელად მოითხოვს იმას, რომ ქვეყანას გააჩნდეს დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა, რათა ფიქსირებული კურსით ვალუტების გაცვლითი ოპერაციები არ შეფერხდეს: როგორც წესი, სახელმწიფოს ხელთ არსებული უცხოური ვალუტის რეზერვები ემიგრირებული ფულის 100 პროცენტზე მეტი უნდა იყოს, ეს კი უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინების შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული.

„სავალუტო ფარის“ ინსტიტუტი წმინდა ეთიკური თვალსაზრისით მისასალმებელია, რადგანაც ის მო-

ცემულ სფეროში სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებებს ზღუდავს.

„სავალუტო ფარის“ მექანიზმის გამოყენება გამორიცხავს ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობისთვის სესხის მიცემას. მთავრობამ უარი უნდა თქვას დეფიციტურ სახელმწიფო ბიუჯეტზე და ჰქონდეს მცირედი პროფიციტი მაინც, რათა შექმნას საგანგებო დანიშნულების ფონდები (მაგალითად, სტაბილიზაციის ფონდი) გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. ამგვარ ვითარებაში კომერციული ბანკები ამკაცრებენ საკრედიტო პოლიტიკას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, იმაშიც გამოიხატება, რომ ისინი უარს ამბობენ კვაზიფისკალური დეფიციტის პროექტებში მონაწილეობაზე, როცა სახელმწიფო იმპერატიულად სთხოვს მათ დააკრედიტონ ეკონომიკურად არამომზიდველი პროექტები (მაგალითად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის დაკრედიტება რუსეთის მიერ შესაბამის პროლექციაზე დაწესებული სავაჭრო ემბარგოს პირობებში).

„სავალუტო ფარის“ მექანიზმის შემოღება, როგორც წესი, მიზანშეწონილია მაშინ, როცა ქვეყანაში ძალზედ მაღალია ინფლაციის დონე, ანუ ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას, რამეთუ ერთდროულად სტაბილური გაცვლითი კურსისა და პროფიციტური (ან არადეფიციტური მაინც) სახელმწიფო ბიუჯეტის ქონა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის ქმედითი ინსტრუმენტია. ეს დადასტურებულია პრაქტიკითაც, მაგალითად, როცა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბრაზილიაში 2700 პროცენტს მიღწეული წლიური ინფლაცია სწორედ ამ მექანიზმით მოთოკეს; 1992-1995 წლებში ესტონეთში იმავე მექანიზმით წლიური 1069 პროცენტის ინფლაცია 29 პროცენტზე დაიყვანეს; ლიგვაში 1994 წელს, წინა წელთან შედარებით, 390,2 პროცენტის წლიური ინფლაცია 72 პროცენტამდე შემცირდა. საყურადღებოა, რომ საქართველოში ჰიპერინფლაცია მხოლოდ 1993-94 წლებში იყო, როცა თვიური ინფლაცია 50-70 პროცენტს შეადგენდა. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ „სავალუტო ფარი“ სულაც არ არის გარანტი იმისა, რომ ღია გიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნები (დღევანდელი საქართველო კი სწორედ ასეთია) დაიცვას სხვა ქვეყნებში მიმდინარე საფინანსო კრიზისისაგან, რადგანაც ამ შემთხვევაში სტიმული ეძლევა სპეკულაციურ ოპე-

რაციებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1994 წელს მექსიკური პესოს დევალაცია, როცა უცხოური კაპიტალის გაქცევისაგან არგენტინა „სავალუტო ფარმაც“ ვერ იხსნა.

თეორიიდან ცნობილია, რომ „სავალუტო ფარი“, როგორც ინსტიტუტი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე გარდამავალი პერიოდისთვისაა შესაფერისი და, ამდენად, შეუძლებელია, მთელს მსოფლიოში იგი ერთდროულად იქნეს გამოყენებული, რადგანაც ამ შემთხვევაში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს მოუხდებათ ოქროს სტანდარტზე გადასვლა, რაც საბოლოო ჯამში ამ უკანასკნელზე ყველა სხვა ქვეყანასაც გადაიყვანს.

„კოლანდიური სენის“ ქართული ფენოგენი

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველო „კოლანდიური დაავადებით“ დაგვიავადმყოფდა: დაიწყო დიდძალი უცხოური ვალუტის (ძირითადად, აშშ დოლარის) შემოდინება, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული ვალუტის – ლარის გამყარებას, რაც უწინარეს ყოვლისა, უარყოფითად აისახება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალზე. საქართველოში ამ დაავადე-



ინფლაციას საქართველოში ხელს უწყობს ისეთი ხარჯებიც, რომლებსაც პრაქტიკულად არანაირი ეკონომიკური უკუგება არ გააჩნიათ. მაგალითად, ასეთებია გაუთავებელი შადრევნების მშენებლობა, სტუდენტებისათვის ვითომდა ქალაქების დასუფთავებისათვის ხელფასების გადახდა, ან ვითომდა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონი ლარის ხარჯვა იმ უმუშევრებისათვის რამდენიმე თვის განმავლობაში ხელფასების გაცემაზე, ვინც მოახერხებს ცნობის შოვნას, რომ იმავე პერიოდით კერძო სექტორში ნახა სამსახური.

თუ „სავალუტო ფარს“ მაინც შემოვიღებთ, მაშინ ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში ლარის სულ უფრო მეტი ოდენობით ემისია იქნება საჭირო, რაც ინფლაციას კიდევ უფრო გააღრმავებს.



ბის გამომწვევი მიზეზებია: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმით განპირობებული ყოფილი ჩინოვნიკების მიერ ე.წ. „თავისუფლების საფასურის“ გადახდა (როცა, როგორც წესი, აშშ დოლარებში დაგროვებულ თანხებს ხელისუფლებას უბრუნებდნენ ეროვნულ ვალუტაში), საფინანსო წესრიგის დამყარება განსაკუთრებით საბაჟოზე (როცა იმპორტიორები ადრე დამალული და აშშ დოლარებში აკუმულირებული შემოსავლებიდან სახელმწიფოს გადასახადებს უხდიან ლარებში), საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ ახლობლებისათვის ფულადი გზავნილები (როგორც წესი, აშშ დოლარებში, რომლებიც მიმდინარე ხარჯების განსახორციელებლად ლარებში გადაიყვანება), უცხოელების მონაწილეობით განხორციელებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (როცა, ქვეყნის შიგნით ამ ოპერაციების განსახორციელებლად უცხოელებს უხდებათ უმთავრესად აშშ დოლარის კონვერტაცია ლარში).

ინფლაციური ნიჰილიზმის საბიუჯეტო და ინსტიტუციონალური საფუძვლები

„პოლანდიური დაავადებით“ გამოწვეული ლარის გამყარების პროცესის შეფერხების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი ლარის გაყიდვით ყიდულობს ქვეყანაში შემოსულ აშშ დოლარებს. ეს ოპერაცია, ერთის მხრივ, ზრდის ეროვნული ბანკის რეზერვებს და შედარებით ნარნარს ხდის ლარის გამყარებას, მაგრამ იმავდროულად ლარის დამაგებითი მასის ბრუნვაში გაშვებით ხელს უწყობს ინფლაციის გაზრდას. ამგვარ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი

იყოს პროფიციტური, რაც უნდა გახდეს ინფლაციის მოთოკვის ქმედითი მექანიზმი. სინამდვილეში კი საქართველოს მთავრობა არა მარტო ინარჩუნებს დეფიციტურ სახელმწიფო ბიუჯეტს, არამედ კანონმდებლობით განმტკიცებული ხერხით ფაქტობრივი დეფიციტის ოდენობას ამცირებს კიდევ: ქართული კანონმდებლობით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული თანხები არა დეფიციტის დაფინანსების წყაროში, არამედ ბიუჯეტის შემოსავლებში გაითვალისწინება. კერძოდ, ოფიციალურად გაცხადებული დეფიციტის მოცულობა 2007 წელს 374,5 მლნ ლარია, რაშიც არაა ჩართული პრივატიზაციიდან მისაღები 400 მლნ ლარი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებშია „დამალული“. სამწუხაროდ, მთავრობამ არც ჩვენს მიერ საქართველოს პარლამენტში დაყენებული წინადადება გაიზიარა, რომ შექმნილიყო სტაბილიზაციის ფონდი, სადაც პრივატიზაციიდან მისაღები თანხის ნახევარის აკუმულირება მაინც მოხდებოდა, რაც შეამცირებდა ეკონომიკაზე ინფლაციურ წნეხს.

გარდა ხსენებულისა, ინფლაციას საქართველოში ხელს უწყობს ისეთი ხარჯებიც, რომლებსაც პრაქტიკულად არანაირი ეკონომიკური უკუგება არ გააჩნიათ. მაგალითად, ასეთებია გაუთავებელი შადრევნების მშენებლობა, სტუდენტებისათვის ვითომდა ქალაქების დასუფთავებისათვის ხელფასების გადახდა, ან ვითომდა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონი ლარის ხარჯვა იმ უმუშევრებისათვის რამდენიმე თვის განმავლობაში ხელფასების გაცემაზე, ვინც მოახერხებს ცნობის შოვნას, რომ იმავე პერიოდით კერძო სექტორში ნახა სამსახური.

ინფლაციაზე საუბარი არასრულფასოვანია, თუ კი არ შევვებით მის ფაქტობრივ დონეს, რაც საქართ-

ველოს სინამდვილეში, სამწუხაროდ, შეუძლებელია. 2004 წლის დასაწყისში რევოლუციურ გაღრმავებულ ინსტიტუციონალური რეფორმის შედეგად სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შეიყვანეს, რაც აშკარად ინტერესთა კონფლიქტია. ამ გარემოების გათვალისწინებით გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მთავრობა დაინტერესებულია მხოლოდ მისი საქმიანობის შემქმნელი სტატისტიკური ინფორმაცია (მათ შორის, ინფლაციის დონის შესახებაც) შექმნას და გამოაქვეყნოს. სწორედ ეს არის ერთადერთი „იარაღი“, რითაც მთავრობა „წარმატებით“ ებრძვის ინფლაციას. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ, რომ 2006 წლის აგვისტოში მთავრობას გაეპარა სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ წლიური ინფლაციის 14,5 პროცენტის დონეზე (თუმცა, ექსპერტების შეფასებით ინფლაცია ბევრად მაღალი იყო) დაფიქსირება, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. მთავრობის რეაქცია ამაზე სულაც არ ყოფილა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება ან უაზრო ხარჯებზე უარის თქმა; მთავრობამ შეცვალა სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამით უბრუნველყო 2006 წლის ბოლოსათვის წლიური ინფლაციის დონის 8,8 პროცენტამდე დაყვანა?! 2007 წელს კი სტატისტიკის „მოჭკვიანებული“ დეპარტამენტი მსგავს „შეცდომებს“ აღარ უშვებს და მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველას სამომხმარებლო პროდუქცია არსებითადაა გაძვირებული, ინფლაციის მრდას 2007 წლის სექტემბერში 2006 წლის დეკემბერთან შედარებით მხოლოდ 6,2 პროცენტით აფიქსირებს.

და მაინც რას მოგვცემს „სავალუტო ფარის“?

„ჰოლანდიური დაავადება“ ერთის მხრივ „სავალუტო ფარის“ რეჟიმის ამოქმედებას უწყობს ხელს, რამეთუ უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინება მრდის სახელმწიფოს ხელთ არსებულ სავალუტო რეზერვებს. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის

დეფიციტურობა არა მარტო შეუძლებელს ხდის „სავალუტო ფარის“ შემოღებას, არამედ ჰოლანდიური დაავადების გამწვავებასაც უწყობს ხელს და თუ „სავალუტო ფარს“ მაინც შემოვიღებთ, მაშინ ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში ღარის სულ უფრო მეტი ოდენობით ემისია იქნება საჭირო, რაც ინფლაციას კიდევ უფრო გააღრმავებს.

იმ შემთხვევაში კი, თუ „ჰოლანდიური დაავადების“ ბემოთ ხსენებული მიზეზები შესუსტდა ან საერთოდ გაქრა, მაშინ საქართველოს მწირი საექსპორტო პოტენციალისა და რუსეთის მიერ დაწესებული სავაჭრო ემბარგოს გათვალისწინებით ხსენებული სავალუტო რეზერვი მყისიერად დაიცილება, რაც მძიმე საფინანსო კრიზისის მიზეზი გახდება.

„სავალუტო ფარის“ რომელიმე აპოლოგეტი შესაძლოა შემოგვეღაოს და გვითხრას, რომ სწორედ ამ ინსტიტუტის შემოღება შეიძლება გახდეს ის იძულების მექანიზმი, როცა მთავრობას სხვა გზა აღარ დარჩეს, რომ დეფიციტურიდან პროფიციტურ ბიუჯეტზე გადავიდეს. ეს კი მხოლოდ იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ კი მთავრობა ამგვარ დაავადებას ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალისაგან მიიღებს.

აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მთავრობა, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური, ხოლო ცენტრალური ბანკი კი – პროფესიული ორგანოა. სწორედ ამიტომ აქვს ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობას დაცვის ბევრად მეტი გარანტია, ხოლო მთავრობა კი პოლიტიკური სიტუაციის ნებისმიერი გამწვავების შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს. აქედან გამომდინარე, ბომიერი ინფლაციის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტის მხოლოდ მთავრობის პასუხისმგებლობაზე გადაგანა (რაც „სავალუტო ფარის“ ინსტიტუტის პრინციპული მოთხოვნაა), განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მას ხელთ აქვს სტატისტიკური ინფორმაციით მანიპულირების ბემოთ ხსენებული „იარაღი“, წინდაუხედაობით გამოწვეული უდიდესი შეცდომა იქნება.

და ბოლოს: „სავალუტო ფარის“ ინსტიტუტზე გადასვლას საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების მიღება ესაჭიროება, რაც საპარლამენტო ძალების დღევანდელი განლაგებით, საბედნიეროდ, ნაკლებ სავარაუდოა...